



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 1819 2021 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი

2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების
პროგრამის მესამე პრიორიტეტის ფარგლებში შერჩეული პროგრამების
დაფინანსების შესახებ

1. „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის №200 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და მე-3 მუხლის მე-7 პუნქტისა და „2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში პროგრამის პრიორიტეტებისა და საპილოტე რეგიონებისათვის 2021-2022 წლებში განსაკარგი ჯამური თანხის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 ივნისის №920 განკარგულების გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებებიდან ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტოს 2021 წელს გამოეყოს არა უმეტეს 2 939 884 ლარისა, ხოლო 2022 წელს – არა უმეტეს 17 060 116 ლარისა, სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში 2022

საქართველოს მთავრობისა და		
შტატური განვითარების სამინისტრო		
შემოსულის №	15922/05	
„ 03 “	11	2021 წ.
2	ფურცალი	

წელს გამოეყოს არა უმეტეს 16 200 000 ლარისა, სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2021 წელს გამოეყოს არა უმეტეს 130 000 ლარისა, ხოლო 2022 წელს - არა უმეტეს 3 300 000 ლარისა.


2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ:

ა) 2021 წელს „2020 - 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (პროგრამული კოდი: 56 14) პროგრამის ასიგნებიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყოს არა უმეტეს 2 939 884 ლარისა, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - არა უმეტეს 130 000 ლარისა;

ბ) 2022 წელს „2020 - 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დაფინანსება მუნიციპალიტეტებში“ (პროგრამული კოდი: 55 14) პროგრამის ასიგნებიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოეყოს არა უმეტეს 17 060 116 ლარისა, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს - არა უმეტეს 19 500 000 ლარისა.

3. დაევალოთ ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს, სსიპ-ს - აწარმოე საქართველოში და სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული პროგრამ(ებ)ის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი